

მცხეთის წარმოშობის საკითხისათვის

(საქალაქო სივრცე, დრო და გეოგრაფია)

გურამ ყიფიანი

უძველესი ქართული საისტორიო წყაროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, ნომენკლატურისათვის უცნობია მცხეთა თხრობის დასაწყის საფეხურზე, ანუ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლეგენდარული ლაშქრობის ამსახველი მოკლე ნაწილისათვის [კაკაბაძე 1928:1 და შმდ.; მელიქსეთ-ბეკოვი 19371: 525 და შმდ.; მელიქსეთ-ბეკოვი 19372: 56 და შმდ.]

„პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილნი წარიქცინა და შეჴადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, – მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნეუბი მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურზნისი და ოძრაჴე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისანი, უფლისციხე კასპისა, ურზნისისა და ოძრაჴისა“ [მოქცევაჲ 1963:81].

ე. ი. „მოქცევაჲს“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელი, ან ამ სახელით გადაფარული რომელიღაც ელინიზებული ლაშქრობის წინამძღოლი ქართლში ვერ ხედავს მცხეთას. იგი მაშინაც კი არ ჩანს, როცა იგივე „ალექსანდრე მაკედონელი“, ან კვლავ ამ სახელით გადაფარული სხვა ელინიზებული სარდალი კვლავ შემოდის ქართლში „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა“ და თერთმეტთვიანი ალყის შემდგომ იპყრობს სარკინეს.

ეს საისტორიო წყარო („მოქცევაჲ ქართლისაჲს“), მცხეთის აღმშენებლობის დასაწყისს მხოლოდ ქართლის VIII მეფეს, ბრატმანს მიაწერეს (ლევონტი მროველის მიხედვით, ბრატმანი ქართლის VII მეფეა, რადგან აზოს იგი მხოლოდ ერისთავად მიიჩნევს – „და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ“ – (ლევონტი მროველი 1955:18). ქართლის შემდგომმა მეფემ – მირეანმა – „აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი“. მომდევნო მეფის, არსუკის ურადლება სხვაგანაა მიმართული: „და მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“ – მცხეთელი მეფე იპყრობს კასპელი მეფის მიწა-წყალს [ბერძენიშვილი 1975:336-337], და მხოლოდ ქართლის XI მეფის, როკის დროს დასრულდა ქალაქ მცხეთის მშენებლობა – „და მეფობდა როკ, რომელმან რაზმთურთით მცხეთა გაიშორა და მეფობა ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“ [მოქცევაჲ 1963:82].

მანამდე კი – „და თანა-ჴევანდა ალექსანდრე მეფესა აზოჲ, ძე არიან ქართლისა მეფისაჲ და მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჴერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისა[ჲ] და წარვიდა.

ხოლო ესე აზო ...დაჯდა ძუელ მცხეთას, და თანაყვანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გაიმ“ [მოქცევაჲ 1963:81]. „რაღთურთით“ – ანუ მთლიანად დაამთავრა მცხეთის აღმშენებლობა როკმა – „რაღთურთით“ დასრულებას ნიშნავს [სარჯვლაძე 1995:169].

ე. ი. გაცი და გაიმ აღმართნენ „ძველ მცხეთა“-ში. „ძველი მცხეთა“ კი ბუნებრივად გულისხმობს „ახალ მცხეთასაც“, ანუ „მოქცევაჲს“ ავტორისათვის თავდაპირველი ტახტი „ახალი მცხეთის“ წინამორბედი სატახტოა.

ის, აზოს მიერ აღმართულ კერპთა არეალში (არმაზციხეზე) ქალაქი რომ შეიქმნა, ამას ქართველთა განმანათლებელი, წმიდა ნინოც გვაუწყებს: „წარმოვედ წინა კერძო დასასრულსა მის კლდისასა, სადა ძუელ ქალაქ ყოფილ იყო, და მას ადგილს ყოფილ არს ციხე“ [მოქცევაჲ 1963:122]. „ქალაქი ყოფილ იყო“, მხოლოდ ნაქალაქარია, ე. ი. აქ დასახლება IV ს-ის პირველი მეოთხედისათვის აღარ იყო, მაგრამ მას შერჩენილი ჰქონდა საფორტიფიკაციო დომინანტის ფუნქცია – „მას ადგილსა ყოფილ არს ციხე“.

„და შემდგომ მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხურსა ზედა და დასვა მისი სახელი არმაზი, და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და ჰრქჳან არმაზ“ [მოქცევაჲ 1963:82]. ე. ი. ფარნავაზმა აღმართა კერპი იმავე სახელწოდებისა, რითაც მისივე მეფური და ღვთაებრივი ბუნება, ანუ უზენაესობა აღინიშნებოდა. „ფარნავაზი“ თეოფორული ტერმინის შემცველი სახელია: მისი ფუძე xvarna – farna = მზე, ცაში მოლივლივე ფრთოსანი მზე, რომელიც შემდგომ სამეფო რელიგიის სიმბოლოდ იქცა, ანუ იგივე აჰურამაზდას კანონიკურ გამოსახულებად, „არმაზი“ კი, იგივე Ahuramazda-ა, საშუალო სპარსულით Ohrmazd, ანუ ქართული არმაზ, სომხური „არამაზი“, ახალი სპარსულით Hormuz, და ა. შ. [ჩხეიძე 1984:21; ჯავახიშვილი 1951:33 და შმდ; ლუკონინი 1987:85-86]. ტერიტორიას არმაზი ეწოდა, ე. ი. ძველ მცხეთას, რომელიც გვიანდელი აღნიშვნაა ამ მთის კალთებისა და მხოლოდ ტექნიკური ტერმინია იგი „მოქცევაჲს“ ავტორისათვის, რადგან ფარნავაზის მოღვაწეობამდე რა ერქვა ამ მთას, მან არ იცის.

„მოქცევაჲს“ მონაცემები მცხეთის მიმართ სულაც არ ესადაგება ლეონტი მროველის „თხზულებას“. მან ხომ რეალურად არსებული პუნქტიდან, ანუ ამ შემთხვევაში მცხეთიდან ეთნარქიც შექმნა – მცხეთოსი. ლეონტი მროველის „თხზულება“ „მოქცევაჲსაგან“ განსხვავებით, რომელიც ბრატმან მეფემდე საერთოდ ვერ ხედავს მცხეთას (ისევე, როგორც უცხოელი ავტორები ვერ ხედავენ მას II ს-მდე), მას დასაწყისიდანვე ანიჭებს დედაქალაქის როლს, რაც გასაგები სურვილია ისტორიკოსისა – მას სურს დედაქალაქი თავიდანვე ჩართოს ისტორიულ კონტექსტში და, ასეთი მცდელობის მიუხედავად, მისსავე ნაწარმოებში, თუმცა დაუკონკრეტებელ დროში, არმაზციხის ადრეულობა მცხეთასთან შედარებით მაინც გამოსჭვივის [აფაქიძე 1959:76-80].

„ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვ-მტკვარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი... მოკუდა ქა-

რთლსა და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი. და შემდგომად ამისა ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე“. შემდეგ კი: „ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ისე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელს აწ ჰქვან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა“ [ლეონტი მროველი 1955:8].

ძნელი არაა დავინახოთ, რომ ლეონტი მროველმა მცხეთის გარემოს ჩამოყალიბებისას „მოქცევაჲ“-სეული მოდელით იხელმძღვანელა არმაზციხის მიმართ და მისი შექმნის თანმიმდევრობა მის მიერვე შეთხზულ ეთნარქებსა და მათი ოჯახის წევრებზე გადაანაწილა.

უცხოელ ავტორთაგან მცხეთის, როგორც ქალაქის ჩანასახის ხსენება პლინიუს უფროსთან გვხვდება (I ს.), მცხეთა მისთვის ჯერ მხოლოდ მესხთა დასახლებაა – „Moschorum Tractus“ (Plin. NH. 1,37, V – 1-6) [მურავიოვი 1988:156-161]. ხოლო ბტოლემეაიოსისათვის (II ს.) მცხეთა (Μεσσητηα) უკვე ქალაქია (მცხეთის წარმოშობის გვიანდელი თარიღის შესახებ იხ. კაკაბაძე 1928; მელიქსეთ-ბეგი 1965; იხ. აგრეთვე მოსაზრებანი „ძველი მცხეთის“ ლოკალიზაციის შესახებ [ბოხოჩაძე 1078:23-25]).

უურადლებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში არმაზციხისა და მცხეთის გეოგრაფიული განსაზღვრებანი ადრეული პუნქტიდან, ანუ არმაზიდანაა (არმაზციხიდან) მოცემული, რადგან მცხეთა „იმიერია“, არმაზციხე კი „ამიერი“ ქალაქი, და კიდევ ერთი რამ: ე. წ. „ორმეფობის“ დროს უპირატესი ქალაქი მცხეთაა, „იმიერი“ ქალაქი, რადგან უფროსი მეფე სწორედ იქ ზის: „და მეფობდა იმიერ ფარსმან (მცხეთაში – გ. ყ.) და ამიერ კაოზ“ და ა. შ. [მოქცევაჲ 1963:82].

იმ მრავალ ფაქტორს შორის, რომელიც ურბანული სისტემის წარმოქმნას განაპირობებს, ორი ძირითადი გეოგრაფიული მსაზღვრელი გამოიყოფა: ბუნებრივი დომინანტი – მაღლობი, საიდანაც კონტროლდება ტერიტორია, და ამდენად იქმნება ამ ქალაქის „ქვეყანა“ – მას დაქვემდებარებული „ქვე“ მიწა, და ბუნებრივი სანიტარული გარემო, მდინარეთა ხერთვისში, მდინარის მიერ შექმნილ „უბებში“, ან ზღვაში შეჭრილი ნახევარკუნძულების სახით, სადაც საქალაქო ფართობის ორი კიდე მაინც, წყლით „ირეცხება“ [ვიტრუვიუსი 1936, I IV, 1; I, IV, 12;] [მარტენი 1974:30 და შმდ.] ბუნებრივ სანიტარიულ გარემოს რომ უპირატესობას ანიჭებდნენ ქართლში, ანუ ხერთვისში შეჭრილ ნახევარკუნძულზე განფენილ მცხეთას, არმაზციხესთან შედარებით, იქიდანაც ჩანს, რომ უფროსი მეფის სატახტო სწორედ ის გახდა.

უცნაური სურათი გამოდის, დავუშვათ, რომ მცხეთის აღმშენებლობას მართლაც მხოლოდ I ს-ში ჩაეყარა საფუძველი და II ს-ში იგი ქალაქად იქცა, მაგრამ მაშინ სრულიად გაუგებარია საუკუნეთა მანძილზე არმაზციხეზე დაფუძნებულ მეფეთა სრული უმოქმედობა ამ ნახევარკუნძულის მიმართ. გავიხსენოთ ისიც, რომ მცხეთას ვერც სტრაბონი ხედავს, ანუ არაფერი იცის მის შესახებ მისმა წყაროებმა, არა და, მათ შორის პომპეუსის ქართლ-

ში ლაშქრობის მონაწილეებიც არიან, მაგ., პოსიდონიოსი [ყაუხჩიშვილი 1957:12-13].

ე. ი. „მოქცევაჲსა“ და, ნაწილობრივ, რომაელ ავტორთა მიხედვით ისე ჩანს, რომ ქალაქ არმაზის (არმაზციხის) მოსახლეობა ჩამოდის ბარში და აარსებს ახალ ქალაქს და, რადგან იგი მცხეთაა, ამ მოსახლეობის პირველ-საცხოვრისად „ძველი მცხეთა“, ანუ არმაზციხეა მოაზრებული. მაგრამ, რატომ დასჭირდა ამდენი ხანი ამ მოსახლეობის ძირს ჩამოსვლას, თუ ხერთვისი, ანუ შეუდარებელი გარემო საქალაქო სივრცისთვის თავიდანვე არსებობდა.

მდინარეების – მტკვრისა და არაგვის ხერთვისთან რთული გეოგრაფიული გარემო იქმნება. დასავლეთიდან მომდინარე მტკვარი ელიფსურად შემოსწერს მთა-ქართლის (არმაზციხის) კიდეებს და გზას აგრძელებს ჯერ სამხრეთისაკენ და შემდგომ – სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. იქ, სადაც იგი ელიფსურ მოყვანილობას ქმნის, მას ჩრდილოეთიდან მომდინარე არაგვი უერთდება განტოტების ფართო ქსელით. მათი შეუღლების არეში, ჩრდილო-დასავლეთიდან შემოჭრილია სამკუთხა ნახევარკუნძული – მცხეთის საქალაქო ტერიტორია, ხოლო დასავლეთიდან „მთა-ქართლი“ თავისი „ცხვირით“ („ცხვირი“ ქართული გეოგრაფიული ტერმინია – „სერ-სერი ჩამოზეული [სულხან-საბა ორბელიანი 1966: 348]), ანუ არმაზციხით (ტაბ. I, II). ამდენად მცხეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაპირს მტკვარი აკონკრეტებს, ხოლო აღმოსავლეთისას – არაგვი (შდრ. მაგ., ელინისტური ქალაქის აი-ხანუმის საქალაქო სივრცეს, რომელიც მდინარეების ამუ-დარიისა და კოკჩას ხერთვისშია შეჭრილი [ლაუტერი 1986: სურ. 79]).

სამხედრო მოქმედებების თხრობისას გეოგრაფიული გარემო გაცილებით უკეთ აღიქმება, ვიდრე ზოგადი აღწერილობისას. ყველა სამხედრო მოქმედება გარემოს მონაწილეობით მიმდინარეობს, ანუ „გეოგრაფია“ უშუალო მონაწილეა საომარი ოპერაციებისა.

ამ მხრივ ფასდაუდებელია დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ და, კერძოდ, პომპეუსის აქ ლაშქრობის ისტორია [ლომოური 1966: 5 და შმდ.]. ამ დროს ძვ. წ. 66-65 წწ-ში ქართლში (იბერიაში) არტოკე (იგივე არტაგი) მეფობდა [მელიქიშვილი 1959: 14; ინგოროყვა 1978: 510]. ამ ისტორიაში კარგად ჩანს რომაული მხედრობის უზარმაზარი უპირატესობა ადგილობრივი სამეფოების სამხედრო ძალასთან შედარებით.

პომპეუსმა ძალიან სწრაფად და მოულოდნელად აიღო არტოკეს მთავარი ქალაქი – Ακροπολις, რაც მხოლოდ არმაზციხე შეიძლებოდა ყოფილიყო, ანუ სტრაბონის „Αρμαζικη“, პლინიუსის Harmastis, პტოლემეაიოსის Ἄρμακτικα (Strabo XI, 35; Plin., NH, VI, 23; Cl. Ptol., Geogr. V, 10,3). იმის შესახებ კი, თუ რომელი გზით მოადგა პომპეუსი არმაზციხეს უგრძნეულოდ, აზრთა სხვადასხვაობაა. პომპეუსის იბერიაში შემოსვლის მარშრუტს საგანგებოდ შეეხო პროფ. ნ. ლომოური, უფრო ადრე კი პროფ. ი. მანანდიანმა გამოთქვა აზრი, რომ მან დღევანდელი ახალქალაქის რ-წში დაიზამთრა,

კერძოდ, ასპში (ასპიდა), თვით დიონ კასიოსზე დაყრდნობით (XXXVII, VII, V) – „ეს ზამთარიც ასპისში გაატარა“, ეს პუნქტი კი მან გააიგივა თანამედროვე სოფ. ხოსპიასთან (წუნდის მახლობლად). ი. მანანდიანის აზრით, „ასპიდა“ „კასპისს“ (Κασπιδ) თავნაკლული ფორმაა. ეს დასახლება IV საუკუნის რუკაზე „Tabula Peutingeriana“-ზე „Caspiae“-ს ფორმითაა აღნიშნული და ნამდვილად წააგავს „ხოსპია“-ს. ამავე დროს ი. მანანდიანს მიაჩნია, რომ აქედან პომპეუსი მტკვრის დინებას დაჰყვა [მანანდიანი 1939: 73-74, 80-81 და შმდ.], ე. ი. აქედან დღევანდელი აწყურისაკენ და ა.შ.

ის, რომ პომპეუსი სადღაც მართლაც სამხრეთში იდგა იზერიის საზღვართან, მე სავსებით დამაჯერებლად მიმაჩნია, მაგრამ ამავე დროს ვიზიარებ ნ. ლომოურის იმ აზრს, რომ მტკვრის დინების გაყოლებით რომაელების მოძრაობა შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა არტოკეს, რადგან ამ გზაზე მათ მრავალი ქართული ქალაქი უნდა აეღოთ, რათა არმაზციხემდე მისულიყვნენ. რჩება თითქოსდა კიდევ ერთი გზა, მტკვრის დინების საწინააღმდეგო მიმართულება და ასეც მიიჩნევს პომპეუსის სვლას ნ. ლომოური, რადგან იგი მის საზამთრო ბანაკს სირიაში ვარაუდობს. მას საერთოდაც შეუძლებლად მიაჩნია იმ აზრის დაშვება, რომ პომპეუსმა სამცხეში დაიზამთრა, რადგან დიონ კასიოსის მოთხრობიდან ჩანს, რომ პომპეუსის ბანაკს ალბანელები დასხმიან თავს იმის შიშით, რომ რომაელები თვით არ შეჭრილიყვნენ ალბანეთში [დიონ კასიუსი: XXXVII, 54]. ნ. ლომოურის აზრით კი, ალბანელები რომაელებს რომ დასხმოდნენ თავს, დღევანდელი სამცხის ტერიტორიაზე, მათ დიდი მანძილის გავლა მოუწევდათ და ისედაც ამ რეგიონში დაბანაკებული პომპეუსი მათი ქვეყნისათვის საშიში არ უნდა ყოფილიყო. მისი აზრით, ამ დროს (კერძოდ, კი ძვ. წ. 65/64 წწ.) პომპეუსი სადღაც ალბანეთის მოსაზღვრედ, მდინარე მტკვრის ნაპირას უნდა მდგარიყო [ლომოური 1968: 96-97]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ალბანეთის საზღვრებიდან სამცხემდე დიდი მანძილი არაა. არმიები ამ პერიოდში ენერგიულად მოქმედებენ გაცილებით დიდ გადასარბენებზე, რად ღირს თუნდაც თვით დიონ კასიოსის ცნობა ამის საილუსტრაციოდ: „არტოკესთან დადებული ზავის შემდეგ... როდესაც პომპეუსმა გაიგო, ფაზისი არ არის შორს, და გადაწყვიტა მის გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო“ [დიონ კასიუსი: XXXVII, 3, 1], ე. ი. მცხეთის სანახებიდანაც ფაზისი და კოლხეთი შორს არაა სამარშო ტქნოლოგიისათვის, თანაც, როცა რომელი დიდად იყო დაშორებული თავის საბაზისო არეს, ალბანელი კი არც იმდენად თავის ზურგს, რომ სამცხემდე მისვლა გასჭირვებოდა, მით უმეტეს, რომ, როგორც დიონ კასიოსის მოთხრობიდან ჩანს, ისინი სულაც არ აპირებდნენ რომაელებთან გენერალური ბრძოლის გამართვას. ისინი მათ რიგებში მხოლოდ პანიკის შექმნას იზრახავდნენ პარტიზანული თავდასხმების მეშვეობით.

პომპეუსი თუ მართლაც ამ რეგიონში იყო დაბანაკებული, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს დღევანდელი ასპინძის მიდამოებია. ასპინძა სტრატეგიულ პუნქტადაც აბსოლუტურად მისაღები უნდა ყოფილიყო პომ-

პეუსისათვის, ანუ ვგულისხმობთ მის სამხედრო ბანაკს ალბანეთს, იბერია-სა და კოლხეთს შორის. ამდენად, სამცხე სწორედ ის რეგიონია, საიდანაც უმოკლესი გზები მიემართება ყველა მისი მოწინააღმდეგე ქვეყნისაკენ. ყველა ეს მხარე მან ცხვირწინ „დაიყენა“ და დასავლეთისაკენ (პონტოსაკენ) უკანდახვევის შესაძლებლობაც გაითვალისწინა ყოველი შემთხვევისათვის (ტაბ. III). ამ თვალსაზრისით, ასპინძის „ქვეყანას“ ალტერნატივა არა აქვს და ერთ-ერთი გზით, სწორედ ასპინძასთან რომ ჩამოდის, ისარგებლა კიდევაც პომპეუსმა სრული უქვევლობით კოლხეთიდან უკან დაბრუნებისას [მანანდიანი 1939:78; ლომოური 1966:110]. ეს მიმართულება (სამცხიდან – კოლხეთი და უკან) მითრიდატე ევპატორისათვისაც ივარაუდება, როცა იგი კოლხეთისაკენ გაემართა [გამყრელიძე 1989:64].

გზა კი, რომლითაც ქართლში შემოდის პომპეუსი, სრულიად სხვა გზაა, იგი არც მტკვრის დინებას გაჰყოლია და არც აღმა აჰყოლია მას.

„ასე მოქმედებდა მაშინ იგი, ხოლო მომდევნო წელს, ლუციუსს, კოტასა და ლუციუს ტორკვატუსის კონსულობაში მას ომი მოუხდა იბერებთანაც. მათთან ყოველგვარი მოლოდინის გარეშე უფრო ადრე მოუხდა შებმა [2] მათ მეფეს არტოკეს... ეშინოდა, რომ [პომპეუსი] მათ წინააღმდეგ წავიდოდა; ამიტომ მან გაუგზავნა ელჩები მეგობრობის წინადადებით, თვითონ – კი] ემზადებოდა, რათა [მშვიდობაში] დარწმუნებულს მოულოდნელად თავს დასხმოდა, [3] მაგრამ პომპეუსმა გაიგო ამის შესახებ და პირველი შეიჭრა მის ქვეყანაში, მანამ ის შეძლებდა მომზადებას და მეტად ძნელგასავლელი ვიწროების დაკავებას“ [დიონ კასიუსი: XXXVII,1(1)].

ჯერ ერთი, არტოკემ იცის, სად დგას პომპეუსი, რადგან ელჩებს უგზავნის მას. თუ დიონ კასიოსი მართალია და მართლაც მზაკვრობს არტოკე და თვითონ აპირებს თავდასხმას, რადგან შიშობს, რომ რომაელები არ შეიჭრნენ მის ქვეყანაში (ასეთივე შიშია აღწერილი დიონ კასიოსის მიერ ალბანთა მეფისა, და იგი დასხმია კიდევაც თავს პომპეუსს, თუმცა უშედეგოდ), მაშინ სად უნდა დასხმოდა იგი მათ თავს, სხვა ქვეყანაში ხომ ვერა? ე. ი. სადღაც მისი ქვეყნის საზღვართან ან სადავო ტერიტორიაზე უნდა შებმოდა იგი პომპეუსს. მაგრამ პომპეუსმა დაასწრო, თვით შეიჭრა მის ქვეყანაში, სანამ არტოკე რამეს მოიმოქმედებდა და დაიკავა ძნელგასავლელი ვიწრობი, ანუ ხეობები.

თუ პომპეუსი მტკვარს აღმა აუყვებოდა, იგი გაშლილი ფრონტით მიადგებოდა არმაზციხეს, მაგრამ აქედან დაიპყრობდა თუ არა მას, ეს სრულიად სხვა საკითხია. „...[პომპეუსმა] მოასწრო მისგლა ქალაქამდე, [დიონ კასიუსი: XXXVII (3)] რომელსაც აკროპოლისი ეწოდებოდა, სანამ არტოკე გაიგებდა მის მოახლოებას“. მივაჭციოთ ყურადღება გამოთქმას: „ქალაქი... რომელსაც აკროპოლისი ეწოდებოდა“. დიონ კასიოსს აქ „აკროპოლისი“ ქალაქის საკუთარ სახელად აქვს მოცემული. შესაძლოა, ასე ეს მოლაშქრეთა მიერაა აღქმული, რომელთაც, ცხადია მისი წარმოშობისმიერი სახელი „არმაზციხე“ არ ეცოდინებოდათ. აკროპოლისი აქ „მაღლა ქალაქის“ ან

მთაზე გაშენებული ქალაქის ელემენტარული აღქმაა, ანუ „Ακρο“ და „πιλις“. იგი აქ კონტექსტის გარეშეა. იგი არაა სხვა საქალაქო სივრცის დომინანტი – საფორტიფიკაციო, იდეოლოგიური და ა. შ., ანუ „აკროპოლისი“ ისაა, რასაც „მოქცევა“ გვაუწყებს: მთა ქართლის „ცხვირზე“ გაშენებული ქალაქი: „ამან (ფარნავაზმა – გ. ყ.) აღმართა კერპი დიდი ცხურ[რ]სა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და ჰრქგან არმაზ“ [მოქცევა 1963:82]. ის აზრი კი, რომ არმაზციხე როგორც აკროპოლისი ეკუთვნოდა ქალაქ მცხეთას ძვ. წ. 65-64 წწ-სათვის, არაფრით არ ჩანს დიონ კასიოსის თხრობის ამ ნაწილის მიხედვით. [შდრ. აფაქიძე 1959:76-80; აფაქიძე 1963: 161; ლომოური 1968:59-60; ჯავახიშვილი 1951:304, და სხვ.]

„[ქალაქი] (ე. ი. აკროპოლისი – გ. ყ.) მდებარეობდა სწორედ ხეობის პირას – ერთი მხრიდან ... გაჭიმული იყო კავკასიონი, აქ [ქალაქი] სიმაგრით დაცული იყო შემოჭრისაგან“. [დიონ კასიუსი: XXXVII (4)] თვითონვე ამბობს დიონ კასიოსი, რომ მტკვრის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ეს ქალაქი არ აღებულა... აბსოლუტურად ზუსტ აღწერას იძლევა იგი არმაზციხისას: ანუ აკროპოლისი (არმაზციხე) მდებარეობს ხეობის პირას. ეს ხეობა კი მხოლოდ კარსნისხევია, სხვა ხეობა (ხევი) აქ არაა. ამას გარდა, ერთი მხრიდან ხომ კავკასიონი ჩანდა, და ესეც სავსებით სწორია – არმაზციხის წვერიდან და მისი ზედა ტერასიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით სწორედ კავკასიონის ქედი ჩანს და, რაც მთავარია, ამ მხრიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან) ქალაქი სიმაგრით იყო დაცული. ამის შესახებ კი „მოქცევა“-მ გვაუწყა. ფარნავაზი ხომ უპირველესად ამ ზოლზე სიმაგრის აღმართვით იწყებს არმაზციხის აღმშენებლობას: „მოქმნა ზღუდე წყლით კერძო“ [მოქცევა 1963:82], ანუ მდ. მტკვრის პარალელურად, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან აკონკრეტებს არმაზციხეს, აღმართა თავდაცვითი კედელი (იხ. რეკონსტრუქცია – ტაბ. IV).

მაშასადამე, თუ მტკვარს აღმა აუყვებოდა პომპეუსი, მაშინ ის თავისუფლად კი მიადგებოდა არმაზციხეს და თანაც ყოველგვარი ხეობის გადალახვის გარეშე, მაგრამ გზას აქ წყვეტს მდინარე და ფარნავაზის მიერ აგებული კედელი. ამ მხრიდან პომპეუსი შეუმჩნევლადაც ვერ მიადგებოდა არმაზციხეს, რადგან მისი ზედა ტერასებიდან აღმოსავლეთის მიმართულება კარგად კონტროლდება დიდ მანძილზე და, თუ მიადგა კიდეც, მაშინ აღმა უნდა აჭყოლოდა კარსნისხევს, თანაც, ორმაგი სასიმაგრო ზოლის პარალელურად. პირველი (გარე) ზოლი მეფე არსოკმა შექმნა „ქალაქსა ზღუდენი მოაქმნა“; მომდევნო მეფემ, არიკმა კი „შიდა ციხე აღაშენა არმაზსა“ და, რაც მთავარია, კარსნისხევის პარალელური ორივე ზღუდე არქეოლოგიურადაც გამოვლენილია [გამყრელიძე 2005: 88-96] (იხ. ტაბ. V – VIII). ამ მიმართულებით კი არმაზციხეს ვერავინ ვერ დაიპყრობდა, რაოდენ დიდი სამხედრო ძალის მფლობელიც უნდა ყოფილიყო არმია.

ერთადერთი გზა არსებობდა არმაზციხის მოულოდნელი დაპყრობისათვის – ესაა გზა სამცხიდან არმაზციხისაკენ პირდაპირი მიმართულებით:

ტაბაწყური-სანთა – მანგლისი-დიდგორის გავლით და პომპეუსიც სწორედ ზემოდან დაადგებოდა არმაზციხეს და კავკასიონსაც მხოლოდ მაშინ იხილავდნენ მისი მეომრები; ე. ი. ეს ერთადერთი გზაა, მრავალი ხეობითა და „ძნელგასავალი ვიწრობით“ დასერილი, და მისი სრულფასოვანი კონტროლი იმდროინდელ ქართლს, შესაძლოა, მართლაც ვერ გაეწია. ისე ჩანს, რომ პომპეუსი სწორედ დაუცველი ზურგიდან მიეპარა არტოკეს. ვფიქრობ, ამიტომაც იდგა იგი სამცხეში.

და შემდეგ: „შეშინებულ არტოკეს სრულიად არ ჰქონდა დრო, მომზადებულიყო ბრძოლისათვის: იგი გავიდა მდინარეზე (მდ. მტკვარი – გ. ე.) და დაწვა ხიდი [5]. ხოლო სიმაგრის დამცველები მისი გაქცევისა და ბრძოლაში დამარცხების გამო დანებდნენ. პომპეუსმა ამდაგვარად ... დაიპყრო მდინარის გამოღმა მდებარე მთელი მხარე“.

პომპეუსმა მთელი გამოღმა მხარე მხოლოდ მას შემდეგ დაიპყრო, რაც არმაზციხე დაიმორჩილა. თუ იგი მტკვრის დინებას მოჰყვებოდა, გამოღმა მხარე მანამდე უნდა დაეპყრო და, თუ დინების საწინააღმდეგოდ მიდიოდა, მაშინაც არმაზციხემდე მდინარის გამოღმა მხარე უნდა დაეპყრო. მან კი მთელი გამოღმა მხარე მხოლოდ მას მერე დაიმორჩილა, რაც არმაზციხე აიღო და მხოლოდ ამის შემდეგ გავიდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ასე რომ, ასპიდას სამცხეში ვიგულისხმებთ თუ არა, პომპეუსი მაინც არმაზციხეზე ზურგიდან მიპარული ჩანს (ტაბ. X).

2 [1] „როდესაც [პომპეუსი] უკვე კირნოსზე გადასვლას აპირებდა, არტოკემ გაგზავნა მასთან [ელჩები] ზავის თხოვნით და დაჰპირდა ნებაყოფლობით ხიდის [აშენებას] და სურსათის მიწოდებას. [2] მან (არტოკემ – ნ. ლ.) შეასრულა ორივე, რადგან სურდა დამორჩილებოდა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ პომპეუსი მდინარეზე გადმოვიდა, შეშინებული გაიქცა მდინარე პელორისაკენ, რომელიც აგრეთვე მის სამეფოში მოედინებოდა“.

მრავალმხრივ საინტერესო ცნობაა და ბევრი კითხვის აღმძვრელიც. თითქოსდა დაზავდნენ პომპეუსი და არტოკე, რაღაც პირობებზე დაიდო მათ შორის და შეასრულა კიდევაც იგი ქართლის მეფემ და ამის შემდეგ რომაელები თითქოს ქვეყნის სიღრმეში აღარ უნდა შესულიყვნენ. ისინი კი მაინც იწყებენ მდინარეზე გადასვლას, პირობის თანახმად, არტოკესავე განახლებული ხიდით და ამის შემდეგ გარბის მეფე მეორე მდინარისაკენ, პელორისაკენ (არავგი? იორი?). გარბის, მაგრამ მცხეთა – ქალაქი სადღაა? მტკვრიდან არავგამდე ხომ სწორედ მცხეთა უნდა იყოს განფენილი. და თუ განფენილი იყო, მაშინ არც არტოკე უნდა გაქცეულიყო ერთი მდინარიდან მეორისკენ, რადგან რაღაც იმედი უნდა ჰქონოდა ქალაქის სასიმაგრო სისტემისა. აქ კი, დიონ კასიოსის მიხედვით, ქალაქი სრულებით არა ჩანს, არც იგულისხმება. ის ერთადერთი ქალაქი კი, „აკროპოლისი“, ანუ არმაზციხე უკვე დაკარგულია არტოკესათვის.

რაც შეეხება ცნობას არტოკეს მიერ სხვა მდინარის – პელორის გადაღახვის შესახებ, „რომელიც აგრეთვე მის სამფლობელოში მოედინებოდა“, მრავალ-

ვალ ეჭვს ბადებს: მცხეთის დღევანდელი გეოგრაფიით, მდ. მტკვარზე გადებული ხიდიდან [კვეზერელი-კობაძე 1947:7 და შმდ.] მდ. არაგვამდე სულ 1,5კმ თუ იქნება და ამ გადასარბენის აღსანიშნავად ვერ გაჩნდებოდა დიონ კასიოსთან ასეთი ფრაზა, რადგან იგი უდავო მითითებაა ქვეყანაზე, სამფლობელოზე და ქვეყნის მასშტაბზე [მარგიშვილი 1991:14]. ამ გამოთქმას – „რომელიც აგრეთვე მის სამფლობელოში მოედინებოდა“ – უურადლება მიაქცია მწერალმა ლევან გოთუამაც და ამის გამო ეს „სხვა მდინარე“ იორად მიიჩნია [გოთუა 1971: 33-36], საყოველთაოდ დამკვიდრებული იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომ პელოროში მდ. არაგვი იგულისხმება [მელიქიშვილი 1959: 329].

თუ დავუშვებთ, რომ პელორი დიონ კასიოსთან მართლაც იორია, როგორც ეს პატივცემულ მწერალს მიაჩნდა; სულ ერთია, იქამდე მისაღწევად არაგვი მაინც უნდა გადალახულიყო, თუ, რა თქმა უნდა, იგი მაშინაც თავის დღევანდელ კალაპოტში მოედინებოდა. ისე კი, ელემენტარული ფონეტიკური მსგავსების მიხედვით სავსებით შესაძლებელია, რომ იორი დიონ კასიოსთან პელორად გარდაქმნილიყო (Πέλορος). არადა, როგორც ივარაუდება, დიონ კასიოსისათვის იორი კამბისენა (Καμβήση) [ლომოური 1966:110], ეს ის შემთხვევაა, როცა ტოპონიმმა წარმოშვა ჰიდრონიმი. მაგრამ, ზოგადად, როცა მდინარის ქვედა და ზედა წელი სხვადასხვა სახელით აღინიშნება, არც თუ იშვიათი იყო ძველ ქართულ სინამდვილეში – მაგ., სტრაბონისათვის რიონის ზედა წელი გლაგკოსია (Γλαγκος), ხოლო ქვედა – ფაზისი (Φασις) [მელიქიშვილი 1959:306]. როგორც ჩანს, „კამბისენე“ იორის მხოლოდ ქვედა წელს აღნიშნავდა (შდრ. მდინარის ზედა წელი – „ქცია“ და ქვედა „ხრამი“).

მთავარი აქ ის არის, რომ რომელიღაც მეორე მდინარე ჯერ არტოკემ და შემდეგ მას მიდევნებულმა პომპეუსმაც მდ. მტკვრიდან სადღაც შორს გადალახეს და წყაროში მდინარიდან მდინარემდე არავითარ ქალაქზე არაა მინიშნება; მე კი იქითკენ ვიხრები, რომ კასიოსისეული პელორი სწორედაც რომ იორია.

[4] „ამის მერე არტოკე გადავიდა პელორზე, დასწვა ხიდი და გაიქცა“. არაგვზე, მცხეთის საქალაქო ტერიტორიის აღმოსავლეთ მხარეს ვერანაირი ხიდი ვერ გაიმართებოდა. ასეთი შესაძლებლობა ფანტასტიკის ზღვარსაც სცილდება, რადგან არაგვი აქ ფართო განტოტებას ქმნიდა. მისი სიგანე აქ 200-დან 300 მ-მდე მერყეობდა და ამდენად შეთხლებული ნაკადების გამო ეს არე ფონს წარმოადგენდა, მის საპირისპიროდ კი არაგვის კარი, მცხეთის მესამე, აღმოსავლეთის კარიბჭე იყო გამართული [ყიფიანი 1999:24-25]. გავიხსენოთ „მოქცევაჲ“-ს ცნობა სოჯი დედოფლის მეფე მირიანთან და წმიდანინოსთან სტუმრობისა. ამ ადგილას მას მდინარის გადმოლახვა გაუჭირდა წყალდიდობის გამო – „მდიდრობდა მდინარე იგი“ [მოქცევაჲ 1963:99], ხიდი კი არაა. თუ იგი არტოკემ დაწვა კიდევაც, ამდენი ხნის მანძილზე ხომ უნდა აღედგინათ როგორღაც, ან კი როგორ გადაწვავდა ამსიგრძე ხიდს?

აქ უთუოდ უნდა მოვიხმოთ მცხეთის გარემოს საფორტიფიკაციო ტოპოგრაფია. მცხეთის ჩრდილოეთით შუა საუკუნეების ციხეა აღმართული (ბე-

ბრისციხე-ბელტისციხე). იგი ანტიკური ხანის სასიმაგრო ზოლის ფრაგმენტზე დგას, აღმოსავლეთით მისი გაგრძელება წიწამურის (Σεισάμωρα) ქედს გაყოლილი საფორტიფიკაციო კედელია, რომელშიც მრგვალი თავდაცვითი კოშკიც იყო ჩართული [გამყრელიძე 2005:96-98]. ეს ზღუდე, ამასთანავე, მთლიანად აჩარჩობდა წიწამურის სერს. დასავლეთით კი ბებრისციხიდან ზღუდე მოჭყვებოდა იმ ხევის ჩრდილოეთ კიდე (ქედს), რომელიც ამ მხრიდან სამთავროს ველს საზღვრავს.

ამ სისტემიდან კვლავ ჩრდილოეთით 2 კმ-ის დაშორებით გამართულია ელინისტური ხანის კიდევ ერთი სასიმაგრო ზოლი, თითქმის მის პარალელურად მიმართული – „ლართისკარი“. ესაა არქეოლოგიურად კარგად გამოვლენილი კოშკებისა და კურტიწების ჯაჭვი, რომელიც არაგვის მარჯვენა სანაპიროდან დასავლეთისაკენ მიემართება. ეს სასიმაგრო ზოლი, არქეოლოგიური მონაცემებით, ელინისტური ხანით თარიღდება [ნიკოლაიშვილი 2005:93 და შმდ.¹]. მის საპირისპიროდ კი, არაგვის მარცხენა ნაპირიდან სასიმაგრო კედელი ზედახნის ქედს მიუყვება (ტაბ. X). რა ფართობს მოიცავდა ეს კედლები დასავლეთის მიმართულებით, დოკუმენტურად ჯერჯერობით არ დადასტურებულა, მაგრამ ვარაუდის დაშვება შეიძლება და არცთუ ჰიპოთეზურისა, რადგან ამ ზოლის ოროგრაფიულ სისტემას ვერსად გავეჭვებით.²

რას უნდა აღნიშნავდეს „ლართისკარი“ („ლართა და მისი კარი“)? ცხადია, რომ კარი კარიბჭეა და იგი ამ ზოლში, კურტიწებისა და კოშკების ჯაჭვში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამართული. აკი კარიბჭით რაღაც „ქვეყანაში“ შედიოდნენ, ანუ საქმე გვაქვს ქვეყნის კართან, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ქვეყანას „ლართი“ ჰქვია.

„ლართი“ სულხან-საბას მიხედვით საწვიმარ ნაბადს ნიშნავს [სულხან-საბა ორბელიანი: 1966:247], ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილთან – „მწვანე ღართსავით გრძნეულთა წამოსასხამი შელოცვილი“ [თეიმურაზ ბაგრატიონი 1979:86], ე. ი. აქაც მოსასხამად განიშარტება, სულხან-საბას განსაზღვრებასთან მიახლოებულ ცნებად, მაგრამ როგორ უნდა დასდებოდა „ლართს“ „წამოსასხამის“ მნიშვნელობა სახელწოდებად კარიბჭეს, საფორტიფიკაციო სისტემის ძირითად ერთეულს. „ლართი,“ მე მგონი, იმ ქვეყნის სახელწოდებას აღნიშნავს, რომელსაც ეს სისტემა იცავდა და „ქართის“ ოდნავ სახეცვლილი ფორმაა. ანუ ეს „ქართის კარია“. ამ კომპოზიტივში კი თავკიდური „ქანი“ და „კანი“ ბუნებრივად ქმნიან სამეტყველო დისონანსს და „ქან“-ისაგან ძალიან მალე მიიღება „ღან“.

1 2005 წელს მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის თხოვნით, მელბურნის უნივერსიტეტის სპეციალურმა ლაბორატორიამ ანალიზი ჩაუტარა სასიმაგრო ზოლის რამდენიმე წერტილიდან აღებული ხის კონსტრუქციული დეტალების ფრაგმენტებს და რადიოკარბონატული დეტერმინაციის შედეგად შემდეგი ქრონოლოგიური სურათი მოგვაწოდა: OZH 130 = 2170 ± 40 BP, 68,2% probability, 360 BC (36,6%) 280 BC, 95,4% probability, 370 BC (95,4%) 100 BC.

2 ბერძნული ფორტიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ნორმა ის არის, რომ სასიმაგრო კედელი დამორჩილებული უნდა ყოფილიყო გეოგრაფიულ სიტუაციას, იგი უნდა გაჭყოლოდა ქედს [ადამი 1982:123 და შმდ.; ლოურენსი 1978:232 და შმდ.; ვინტერი 1971:101 და შმდ.]

ფრიად საგულისხმოა, რომ დასავლურ-ქართული სამყაროსათვის აღმოსავლურ-ქართული სამყარო „ქართია“ [ბერძენიშვილი 1975: 235; გაბესკირია 2003:215] და ამ „ჭვეუნის“ ამ კარიბჭესაც სავსებით სამართლიანად უნდა დარქმეოდა „ქართისკარი“. ეს ტოპონიმი კიდევ არაერთგზის დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოში, მაგ., სოფ. ღართა ხაშურის რაიონში, იოანე ბატონიშვილი მას გვერდისძირს მიაწერს [იოანე ბაგრატიონი 1986:32-33], ან ღართა დღევანდელი ასპინძის რაიონში ხიზაბავრას სიახლოვეს [კულტურის ძეგლები 1959:25]. „ქართა“, რომლითაც დასავლურ ქართული სამყარო მცხეთასა და შემდეგ თბილისს და, ზოგადად, აღმოსავლურქართულ სამყაროს ასახავდა, სემანტიკურად სწორედ ზღუდეს ნიშნავს [მელიქიშვილი 1965:237-239]. დადასტურებული ღართები ქართლის რაღაც გარე ზოლს საზღვრავს თითქოს, ისე კი „მთა ქართა“ სწორედ ქართლს მიჯნავს არგვეთიდან (ე. ი. დასავლურქართული სამყაროსგან) და თორისგან.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ სასიმაგრო სისტემა, რომელიც მიემართება არაგვის ნაპირამდე (თუ ერთი და თუ მეორე მხრიდან), და გრძელდება მეორე ნაპირიდან. ასეთ შემთხვევას არ იცნობს ფორტიფიკაციის ისტორია. კედლებს შორის გამავალი მდინარე ხომ გახსნილი არეა სიმაგრეში შესაღწევად. თუ კედელი მდინარის ნაპირამდე მივიდა, იგი უნდა გაგრძელდეს მის გაყოლებითაც და არავითარ შემთხვევაში არ უნდა „გადაახტეს“ მას.

თუ აქ მდ. არაგვი იმ დროს, როცა ეს თავდაცვითი ზღუდეები გაიმართა, არ მოედინებოდა, მაშინ სავსებით გასაგებია მათი მიზანი, მათ შორის შუალედის მნიშვნელობა, კოშკების მდგომარეობა კურტიწებთან მიმართებაში – ისინი წინგაზიდულნი არიან, აკონტროლებენ „დასავლეთს“, ზუსტად კი, ჩრდილო-დასავლეთს, ანუ იცავენ „აღმოსავლეთს“ და სხვა. ესაა „ჭვეუნის“ და არა ქალაქის ძლიერი (ორმაგი) თავდაცვითი სისტემა, ანუ ეს პოლისების დაცვის ტექნოლოგიაა [ლაუტერი 1986:67 და შმდ.]³, მაგრამ ისინი უნდა გამართულიყვნენ მაშინ, როცა არაგვი ჯერ კიდევ არ ანაწევრებდა ამ ველს და, თუ ანაწევრებდა და გადალახა იგი არტოკემ და, შესაბამისად, პომპეუსმაც, უნდა გადაეღებინათ ის, „რომელიც აგრეთვე მის სამფლობელოში მოედინებოდა“, სადღაც დღევანდელი სოფ. მისაქციელის არეში, მაგრამ მანამდე ორივე თავდაცვითი ზოლი, წიწამური და ღართისკარი (ქართისკარი) უნდა გაეკლათ. პომპეუსი კი ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვის გარეშე მისდევს არტოკეს, მას გზაზე არავითარი გადასალახი კედელი არ ხვდება, ამიტომაც საფიქრებელია, რომ არტოკე მარჯვნივ შებრუნდა და იორზე გავიდა, და რომ იქ, სადაც დღეს არაგვი მიედინება, მცხეთის არეალში, გაშლილი ველი იყო, არაგვი კი შედარებით გვიან იცვალა თავისი გეზი.

საბრძოლო მოქმედებების შემდეგი პერიპეტეიებიც – ტყეს შეფარებული არტოკელები, ხეების გაკაფვა პომპეუსის მიერ და ა. შ., რასაც დიონ კასიოსი მოგვითხრობს, ივრის ხეობის ტყიან გარემოს უფრო ესადაგება, ვიდრე მცხეთის შემოგარენის ხრიოკებს.

3 იხ. აგრეთვე ტერმინ „ტერიტორიის დაცვის“ შესახებ [ლორთქიფანიძე 1991:183].

რაც შეეხება უკვე ნახსენებ სოფ. მისაქციელს, იგი მუხრანის ველის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი წერტილია. რას უნდა ნიშნავდეს ამ პუნქტის ტოპონიმი? რა შეიძლებაოდა, რომ მიქცეულიყო ამ წერტილიდან? ამ მხრივ მეტად საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის ნაშრომი, სადაც ის ქართლ-კახეთის სოფლების ჩამონათვალსა და აღწერილობას იძლევა. მცხეთას მიწერილ სოფლებს შორის იგი მისაქციელსაც აღნიშნავს დამაფიქრებელი სახელწოდებით – „მისაქციელი არაგვისა“ [იოანე ბაგრატიონი 1986:33-34], ე. ი. მას ან მის წყაროს, რაღაც ცნობა მოეპოვებოდა ამ წერტილიდან მდინარის გუბის ცვლილებასთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: საქართველოს გეომორფოლოგიურ რუკაზე ტერიტორია არაგვისა და ქსანს შორის (მუხრანის ველი) აღნიშნულია, როგორც ალუვიური დაბლობი. იგი წარმოშობილია მდინარის გუბის ცვლილებისას, წყალუხვი მდინარის „ხეტილის“ შედეგად და თანაც ამ ზოლზე (მისაქციელიდან დიაგონალურად ქსანმდე) გადის სინკლინალური ღერძი. ეს კი სამდინარო დაბლობია, მდინარის ყოფილი ტრასა [ატლასი 1964:45-46; ლექსიკონი 1980:400]. თუ მუხრანის ველის ტოპოგრაფიას დავუკვირდებით, იგი მისაქციელიდან პატარა ქანდისაკენ (მდ. ქსნის სიახლოვეს) ამუამადაც დიაგონალურად დაფერდებული ტერიტორიაა (მისაქციელი ზღვის ზოლიდან 531 მ-ია, პატარა ქანდა კი – 511 მ.).

საქართველოს ნიადაგთა რუკაზე მუხრანის ველი აღინიშნება, როგორც „Луговые карбонатные Восточной Грузии“, ანუ იმ ველად, სადაც მიწისქვეშა დინებებია [ატლასი 1964:133-134] და, ალბათ, მუხრანის ველის ნაყოფიერებას არაგვის ნიადაგქვეშა ტოტი განაპირობებს.

არაგვი მცხეთის საქალაქო ტერიტორია, როგორც ჩანს, ძვ. წ. I ს-ის მიწურულს შექმნა. სტრაბონისათვის ეს მდინარე ცნობილია (Αραγός), მაგრამ არმაზციხიდან წიწამურამდე იგი არავითარ დასახლებას არ აღნიშნავს. მაშინვე, არაგვის გადმოხეთქვისთანავე რომ გაჩენილიყო აქ დასახლება, მას იგი, ალბათ, არც მოიხსენიებდა. ქალაქი კი მისთვის (და, საერთოდ, რომაელებისთვის) ის იყო, რომელსაც საფორტიფიკაციო ნაგებობები საზღვრავდა.

არაგვი არცთუ ცოტა დროს მოანდომებდა თავისი კალაპოტის განმტკიცებას, და ამის დადასტურება, ვფიქრობ, არქეოლოგიურადაც ხერხდება: მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტს საშუალება მიეცა, სვეტიცხოვლის ეზოში 1997-1998 წწ-ში მცირე მასშტაბის გათხრები ეწარმოებინა და აქ სტრატოგრაფია დაეხსენებინა. ფენათა რიგი შემდეგნაირად ისახება: 1. ჰუმუსნარევი ფენა (60სმ); 2. გვიანანტიკური (I-III სს.) კერამიკის შემცველი ფენა (90სმ); 3. სტერილური თიხნარი წყალსადინარის ფრაგმენტებით – კერამიკული მილები (30სმ.) და 4. მდინარეული ქვალორდი, შლამითა და რიყის ქვებით (სვეტიცხოვლის ტაძრის ჩრდილოეთი მხარე). ტაძრის სამხრეთით კი XII-XIII სს-ის ჭაყუთის გახსნისას აღმოჩნდა, რომ მისი კედლები (1,40სმ-ის სიმაღლის ქვიშაქვის ფილები) პირდაპირ ალუვიურ დაშრევებაზე (რიყეზე) იდგა [მანჯგალაძე 1998:14]. ეს დაშრევება სვეტიცხოვლის ეზოს გეოლოგიურ

ჭრილზე 80 სმ-ის სიმაღლისაა [მშვენიერიძე 1952:ტაბ.123], ე. ი. მდ. არაგვს ამ ტერიტორიაზე გადაუვლია თავისი ახალი გეზის ძიებისას. მთავარი კი მაინც ისაა, რომ აქ, ქალაქ მცხეთის ცენტრში, ყველაზე ადრეული არქეოლოგიური მასალის შემცველი ფენა მხოლოდ I ს-ით თარიღდება.

პირველი არმაზციხელი მეფეები კი თავიანთი რეზიდენციიდან მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ვერანაირ საქალაქო სივრცეს ვერ მოინიშნავდნენ, რადგან არაგვის გეზის ცვლილებამდე მთელი ეს ფართობი არავითარ ინტერესს არ აღძრავდა და სავსებით სწორი ჩანს „მოქცევაჲ“: „და მეფობდა ბრატმან რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო“, ე. ი. I საუკუნეში, ან შესაძლოა, ძვ. წ. I ს-ის ბოლოს წარმოშობილი დასახლება ქალაქად იქცა II ს-ში. არაგვმა შექმნა ნახევარკუნძული და მალევე ისეთი ცენტრი, რომელსაც თავისი გეოგრაფიული გარემოთი ხელეწიფებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე შეესრულებინა გზაჯვარედინის როლი კულტურულ მემკვიდრეობათა დიალოგისა და პოლიტიკურ აზრთა გადანაწილებისათვის, ანუ შეესრულებინა დედაქალაქის ფუნქცია.

უნდა დავუბრუნდე საკითხს, რომელიც ზემოთ უპასუხოდ დარჩა. ესაა მცხეთის გარემოს ჩრდილო-დასავლეთიდან მზლუდავი ორმაგი საფორტიფიკაციო კედელი და მისი მცხეთასთან დამოკიდებულება. ამასთანავე, როგორც ჩანს, ეს კედლები არც არტოკესა და არც პომპეუსს საბრძოლო მოქმედებებისას არ გადაულახავს. როგორც აღინიშნა, ლართისკარის სასიმაგრო ზოლი ელინისტური ხანით (ძვ. წ. III ს.) თარიღდება [ნიკოლაიშვილი 2005:93-102] და, თუ მცხეთა როგორც დასახლება მხოლოდ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე წარმოიშვა, მაშინ რა ქვეყანას იცავდნენ ისინი, რა დანიშნულება ჰქონდათ მათ?

კვლავ უნდა მოვიხმოთ „მოქცევაჲს“ თავდაპირველი ცნობა, როცა „ალექსანდრემ“ იხილა ბუნ-თურქნი „... მიხუევით, ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურზნისი და ოძრაჲე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხეჲ კასპისა, ურზნისისა და ოძრაჲისაჲ“ [მოქცევაჲ 1963:81].

ჩამოთვლილი ქალაქებისა და მათი კუთვნილი ტერიტორიების ერთობლიობაში ძალიან ძნელია არ დავინახოთ ბერძნული პოლისების, ქალაქ-სახელმწიფოთა მსგავსი პოლიტიკური გაერთიანებები [ლორთქიფანიძე 1968:51-52] – „ქალაქები და დაბნები მათი“, დაბნებში მხარეს დავინახავთ თუ ქალაქთა კუთვნილ სოფლებსა და სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა ერთობლიობას, სულერთია, ის მაინც ამ ქალაქის „ქვეყანაა“ – χωρα – სივრცე, მხარე, ქვეყანა, მამული, მიწა, სოფელი და ა. შ. ამით არ მთავრდება ამ ქალაქ-ქვეყანათა სისტემა, მათში შედიან უფლისციხეები, ანუ ღვთაებათა (ან გაღმერთებული უფლის) ციხეები, საკულტო-ცერემონიალური არეები [ყიფიანი 2001:187 და შმდ.], სარკინე ქალაქი კი რატომღაც „ციხე დიდს“ ფლობს.

ზემომოყვანილ „მოქცევაჲს“ ინფორმაციას თუ არ გავიაზრებთ ძველი ქართული გრამატიკული ნორმებით, გამოვა, რომ ერთი უფლისციხე კას-

პის კუთვნილიცაა, ურბნისისა და ოძრახესისა. ჩამონათვალის დასაწყისის „სარკინე ქალაქი“ შეიცავს განსაზღვრებას „ქალაქი“, რაც მიემართება დანარჩენ ბუნქტებსაც, ე. ი. უნდა გავიგოთ ისე, როგორც „კასპი – ქალაქი“, „ურბნისი – ქალაქი“ და „ოძრახე ქალაქი“. შესაბამისად, კონსტრუქციაში „უფლისციხე კასპისა“-ში განსაზღვრება „უფლისციხე“ მიემართება დანარჩენი ქალაქების კუთვნილ საკრალურ ცენტრებს და, უნდა ვიგულისხმოთ, როგორც „უფლისციხე ურბნისისა“, „უფლისციხე ოძრახისა“ [მელიქსეთ-ბეკოვი 1937-ა:527]. სარკინეს მიმართ კონსტრუქცია „ციხე დიდი სარკინისა“ კი, გვაფიქრებინებს, რომ „დიდიში“ აღმატებული უნდა გავაცნობიეროთ (და არა ფართობის სტატისტიკური მონაცემები) და, შესაბამისად, თვით „სარკინე – ქალაქის“ აღმატებულობაც დანარჩენ ქალაქ-ქვეყნებთან შედარებით. ასევე, მოგვიანებით „დიდი მცხეთა“ აღმატებული, რადგან იქ „ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ [მოქცევაჲ 1963:116], თორემ მცხეთის საქალაქო ტერიტორია (არქეოლოგიურად მონიშნული) 30 ჰა-ს უდრის, რაც „დიდად“ ვერც ელინისტური და ვერც რომაული ურბანული მონაცემებით ვერ ჩაითვლება [კოხინა 1961:19 და შმდ.].

